

სპორტიელი

საერთო უფროსი გაზეთი

პარასკევი 4 აგვისტო 2000 №148 (1170)

ფასი 50 თეთრი

მეორე ქართველი სპარტაკში



მოსკოვის „სპარტაკმა“ ირაკლი შენგელია ოთხი წლით დაიტოვა

ყრილობაზე ყველაფერი გაყიდული იყო

უკანონო დელეგატების არჩეული ფედერაცია უკანონოა! მიაჩნია სფფ-ს ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძეს



1998 წლის 23 ოქტომბერი. ალექსანდრე ჩივაძე, კახი ასათიანი და ნოდარ ანდრიაძე

ჩვენს ფეხბურთში ახალი სკანდალია, თანაც ისეთი, საცეცხლედ გამზადებულ დენტის კასრს რომ ჰვავს...


ნოდარ ანდრიაძე ფეხბურთის გულშემატკივარს კარგად ეხსობება, იგი ფედერაციის ძველი შემადგენლობის ვიცე-პრეზიდენტი იყო, დღეს კი, როგორც მანამდე, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში, სახელმწიფო კომისიის მორიგი არაფრისმოძვემი სხდომის შემდეგ, ბატონ ნოდარს ნერვებმა უმტყუნა და გულისნადები ერთიანად ამოთქვა:

იხილეთ მეორე გვერდი

გვიყიდეთ ბაქაში!

იუბილეამწარებული მილანელები მანჩესტერელის ყიდვას მოითხოვენ



ბასტროს კუნძულზე ზეიმი

სასჯელგანახევრებული სოტომაიორი სიდნეიშიც გადახტება

რა ატრიალებს ევროპის სატრანსფერო კარუსელს?



ზინედინ ზიდანი

ფული, სიყვარული, სიძულვილი და, რა თქმა უნდა, ზიზანი

ეს ისტორია მაშინ დაიწყო, როცა „რეალის“ ფეხბურთელი მიჩელ სალგადოს ერთი არცთუ უბრალო გოგონა შეუსყვარდა და ცოლადაც მოიყვანა. გაგრძელება? გაგრძელება ძალიან მოულოდნელი...

„რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი განდიდების მანამ შეიპყრო, ლუიზ ფიგუ იცოტავა და ზინედინ ზიდანს დაადგა თვალი. „იუვენტუსის“ ქომავლები შემოფოთდნენ, „ბებერ ქალბატონს“ ვინლაო?

და აქ იწყება საშინელი კალეიდოსკოპი უდიდეს ვარსკვლავთა, უმდიდრეს კლუბთა და უზარმაზარ თანხათა სმერჩული ტრიალით.

ვიერი, სალასი, სალგადო... ისინი ფულით გაბრუნებული პაიკები ყოფილან ევროპული ფეხბურთის „მასონთა“ ხარბ თამაშში.

ოლონდ, თუ ეს მართალია. „რეალი“ — „იუვენტუსი“ — „ინტერი“ — „ლაციო“ — „რეალი“. შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება... მოგება და წაგება მალე სულ ერთი გახდება... მთავარია მოუ, რათა მდიდრები მეტად გამდიდრდნენ, ხალხმა კი ფული იხადოს!

ოლონდ, თუ ეს მართალია. და ერთი ამერიკული სერიალისა არ იყოს, სადაც იქ წესმარტებაა.

იხილეთ მეხუთე გვერდი

პატარებმა დიდებს ნამუსი მოსწონდას

საქართველო 95 იტალია 68

ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში, კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ქართველთა დებიუტი წარმატებული გამოდგა. ჩვენმა თექვსმეტწლამდელებმა წინა დღეს მასპინძელ ბულგარელთა 29 ქულით მძლეველი იტალია გუშინ 95:68 დაჯაბნეს, რითაც ამ ქვეყნის ერთგულ გუნდთან შერცხვნილ საქართველოს ნაკრებს ნაწილობრივ მაინც მოსწონდეს ნამუსი.

შეგახსენებთ, რომ A ჯგუფში, სადაც ჩვენებურები თამაშობენ, შემდგომი ეტაპის სამ საგზურს ხუთი ქვეყნის ნაკრები ეცილება. გუშინწინ, ტურნირის დაწყების დღეს ქართველები ისვენებდნენ, დღეს კი უნგრელ თახატილებთან დაიჭერენ საქმეს.

24 პეტიარინარი უეფაში



გუშინ საფეხბურთო კლუბმა „ვიტ ჯორჯია“ უეფაში განაცხადი წარადგინა. უეფას თასის პირველი ეტაპის პირველ და საპასუხო მატჩში

იერუსალიმის „ბეთარს“ განაცხადში ჩანერილი 24 მოთამაშედან ვინ დაუპირისპირდება ამას, ალბათ, გუნდის თავკაცები გადაწყვეტენ. ჩვენ კი იმას მოგახსენებთ, რომ ევროპული ფეხბურთის უმაღლეს ინსტანციაში გაგზავნილ დოკუმენტში სამ სახელს, ანუ სამ ახალ გვარსახელს იხილავთ.

ნახევარმცველი ხეცურიანი, მცველი შოშიაშვილი და მეკარე ხარშილაძე ვეტერინართა ფარმ-კლუბის, „ვიტ ჯორჯია-ფარმის“ წევრები არიან.

განაცხადში ვერ მოხვდნენ ერთი კვირის წინ ჯვრაც ვეტერინარები მეკარე დავით მამარდაშვილი და მცველი ედიშერ ალადაშვილი. კლუბების თავკაცებმა ისინი თსუ-ში გაანათხოვრეს.

„ბეთართან“ დაპირისპირების დამთავრებამდე ვეტერინართა რიგებში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, მერე კი, ეროვნული ჩემპიონატისთვის, შეიძლება „ვიტ ჯორჯიას“ განაცხადმა სახე იცვალოს.

დათო დანელია

ვიტ ჯორჯია 2000-2001			
1	მირზა მერლანი	მკ	05.10.80
2	თენგიზ კობიაშვილი	მ	03.12.75
3	გიორგი დეკანოსიძე	მ	02.01.81
4	ედიკ საჯაია	მ	16.02.81
5	ჯაბა მუჯირი	მ	07.06.80
6	საბა სულთანაშვილი	თ	25.04.79
7	ზვიად გვაზავა	მ	17.09.79
8	გიორგი ქორიძე	თ	19.07.76
9	ლაშა ნოზაძე	მ	18.03.80
10	ვლადიმერ გოჩიაშვილი	თ	05.07.76
11	ლევან მელქაძე	თ	12.12.79
12	სერგო ჭურაძე	მკ	10.07.77
13	ირაკლი ხაჭაპურიძე	მ	11.10.77
14	დავით დოლიძე	მ	09.02.80
15	ბესიკ ჭილაძე	მ	12.03.82
16	შოთა ხეცურიანი	მ	11.04.83
18	დავით დიდიშელაშვილი	მ	18.01.80
19	რევაზ გოცირიძე	თ	17.01.81
20	გიორგი ყიფიანი	მ	03.08.78
21	გიორგი ჭანკოტაძე	მ	04.10.77
22	კახა შოშიაშვილი	თ	23.06.82
23	გიორგი ადამია	თ	10.03.81
24	ალექსანდრე ინკვირევილი	მ	24.08.81
25	რამაზ ხარშილაძე	მკ	01.05.82



დავით მამარდაშვილი „ვიტ ჯორჯიაში“ თსუ-ში გაანათხოვრა

დასასრულს მიუახლოვდა ჩვენი უმაღლესი დივიზიონი „იბერის“ რუსული შეკრება. რაღა დარჩა, 7 აგვისტოს გუნდი ურალური ვერხნაია სალადან გამოემგზავრება და ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას უკვე საშობლოში გააგრძელებს.

გუშინწინ კი სამტრედიელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს, თანაც ნაცნობ მეტოქესთან, ვერხნაია სალდას „მეტალურგთან“. ეკატერინბურგის ოლქის პირველობაზე მოთამაშე ამ გუნდს „იბერია“ ადრეც იყო შენახვე-

რა არ ხდება!

დრი. ორი კვირის წინ ჩვენებურებმა ნ:0 დაამარცხეს ურალელები. პოდა, განმეორებითი პაექრობაც სამტრედიელთა დიდი უპირატესობით აღინიშნა. „იბერიაში“ გააუმჯობესა კიდევ წინა შედეგი. ამჯერად შვიდი უპასუხო ბურთით მოიგო.

მასპინძელთა კარი ორჯერ ოდიკაძემ დალაშქრა, თითოც მუშლაძემ, ნოზაძემ, გიორგაძემ, ზურაბ მეტრეველმა და შმაგი ონიანმა გაიტანეს. გუშინ სამტრედიელებმა 4:2 მეტრეველის, ოდიკაძის, ხმალადის და ონიანის გოლებით მოიგეს

იგივე მეტოქესთან. როგორც ვთქვით, „იბერია“ საშობლოში მზათს დაბრუნდება. დაბრუნდება და... ამბოქვისებში დაიღებს ბინას. აქ იქნება მისი ზაო. უფრო მეტიც. შევეტყვეთ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გამართვას გუნდი საშობლოში კი არა, ხაშურში აპირებსო. კარგად რომ თქვას, გასაკვირიც არაფერია. „იბერია“ ხომ საკუთარ ქალაქში არაფერს წყალობს, მარების ნაცვლად ყველანაირად ხელს უშლის იოზა აბცხაძე ქუთაისის

საზაფხულო მიდი-მოდი

	ბასსვისებულები	ახალწვეულები	საზონთობორის
ტორპედო დავით ყიფიანი	სომხიშვილი (მილანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტები)	გუჭუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალვა-ბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	დელა 4:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორცხი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიკრას (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრენა ზეზე (ოგოსლავე) 0:4, 2:0
ვიტ ჯორჯია სერგო კოტორიძე	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანაშვილი (დელა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინკვირევილი (თსუ), ჭილაძე (სა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოივეტი 4:0, პოქუნაშვილი კოტბუხი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, პანზა 0:1, ლოტბეკ ზარუა 7:1, ზანტაშვილი 1:3, პალიგენაშვილი (რეველი) მანია 6:0
დინამო რევაზ არეკლაძე	ბი ზანიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიჭაიშვილი (მაკაბი, თა. ისრაელი), გუჭუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), ხუციშვილი, მინაშვილი (?)	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მახაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყეშელაშვილი, ჩივაძე, კანდელაკი, ნორია კიძე, გ. დელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჯინიძე (არ თამაშობდა)	მამჭირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, კომოტივი 1:0, შუტურა 2:0
ბათუმი ჯანი კარნეგელი	მ. მასრაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ. შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მამულაძე, თ. ტულუმი (შუტურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	კ. მეტრეველი (ნიუა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მგავანაძე (შუტურა), ქვაჩიანი, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიანაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელაუსიკა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1
კოლხეთი ვაი ტყეშელაშვილი	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალვაბერიძე (ტორპედო), ქვაჩიანი, მ. ქობულაძე (ბათუმი), ე. გვასალია (?), ისრაელი	რ. ხაჭაპურიძე (დელა), ბ. ჩიტია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედევი, დ. კვიციანი, გოჩა ჭანტურია, თოდუა, ზ. ლევაძე, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, გურია 3:0
სიონი სპარტაკ არჩვაძე	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემეშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესაჩენკო (ოკეანი), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1
იბერია სოსო ფრეიძე	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი, ივნიანი (ლოკომოტივი)	კ. მამარდაშვილი (ლოკომოტივი), კ. კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჩინი ტავრია) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2, მეტალურგ ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
დილა მერაბ ხუციშვილი	სულთანაშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარქაშვილი (კარიერა დაასრულა), მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუმი (არსენალი), გრიგალაშვილი, ხობოძაშვილი, ევგოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯავახიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა), მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
მმრანი სერგო ვაბელია	ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	ოდიშარია (ზობი), კაკაბაძე (მამჭირი, აზერბაიჯანი), გ. კლასონია, ვ. კლასონია (გორდა)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დელა 4:1
ლოკომოტივი რევაზ ძიძუაშვილი	ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), ჩხიზაძე (პეტეი შანი, ისრაელი), კაციაშვილი (მეტალურგი), ველაძე (?), რუსეთი, ნიკორაძე (?), ფინეთი, ბაქრაძე (სიონი), ძიძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიჭიშვილი (პ. ქვარსავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, რ. ონიანი (?)	გომარაოვი, ზ. გაგანიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივნიანი (იბერია), კაკაბაძე (არსენალი), ზურაბ აიანაძე (ზობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ველაძე (ალ იტიპალი, საუდეოთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი)	გორდა 0:1, 1:1, დელა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, დინამო სიონი 1:0, 3:1
თსუ თენგიზ კაცია	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინკვირევილი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მახაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანი (ზოივეტი), არეშიძე (ცხუმი), ზ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა), სტურუა (სამგურალი)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოივეტი 3:1, მილანი 0:0, ჭაბუკიანი 3:2
ბორჯა იასონ ალადაშვილი	ვ. კლასონია, ვ. კლასონია (მერანი), ბურნაძე (ლოკომოტივი), ბუკია (თსუ), ბედიანაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ჭაბრიშვილი (ზოივეტი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი)

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერები

იტალია. სერია A. 2000-2001 კალენდარი

I ტური, 1 ოქტომბერი

ატალანტა - ლაციო
ბარი - ვერონა
მილანი - ვიჩენცა
ნაპოლი - იუვენტუსი
პარმა - ფიორენტინა
პერუჯა - ლეჩე
რეჯინა - ინტერი
რომა - ბოლონია
უდინეზე - ბრეშა

II ტური, 15 ოქტომბერი

ბოლონია - მილანი
ბრეშა - პარმა
ფიორენტინა - რეჯინა
ინტერი - ნაპოლი
იუვენტუსი - ბარი
ლაციო - პერუჯა
ლეჩე - რომა
ვერონა - უდინეზე
ვიჩენცა - ატალანტა

III ტური, 22 ოქტომბერი

ბარი - ატალანტა
ბრეშა - ფიორენტინა
მილანი - იუვენტუსი
ნაპოლი - ბოლონია
პერუჯა - პარმა
რეჯინა - ლეჩე
რომა - ვიჩენცა
უდინეზე - ინტერი
ვერონა - ლაციო

IV ტური, 1 ნოემბერი

ატალანტა - ვერონა
ბოლონია - რეჯინა
ფიორენტინა - ბარი
ინტერი - რომა
იუვენტუსი - უდინეზე
ლაციო - ბრეშა
ლეჩე - ნაპოლი
პარმა - მილანი
ვიჩენცა - პერუჯა

V ტური, 5 ნოემბერი

ბარი - პარმა
ბრეშა - რომა
ფიორენტინა - პერუჯა
ლაციო - ბოლონია
მილანი - ატალანტა
ნაპოლი - ვიჩენცა
რეჯინა - იუვენტუსი
უდინეზე - ლეჩე
ვერონა - ინტერი

VI ტური, 12 ნოემბერი

ატალანტა - ბრეშა
ბარი - მილანი
ბოლონია - ფიორენტინა
ინტერი - ლეჩე
იუვენტუსი - ლაციო
პარმა - უდინეზე
პერუჯა - ნაპოლი
რომა - რეჯინა
ვიჩენცა - ვერონა

VII ტური, 19 ნოემბერი

ბოლონია - პარმა
ბრეშა - იუვენტუსი
ფიორენტინა - ვიჩენცა
ინტერი - პერუჯა
ლაციო - მილანი
ლეჩე - ბარი
ნაპოლი - ატალანტა
უდინეზე - რეჯინა
ვერონა - რომა

VIII ტური, 26 ნოემბერი

ატალანტა - ლეჩე
ბარი - უდინეზე
იუვენტუსი - ვერონა
მილანი - ნაპოლი
პარმა - ლაციო
პერუჯა - ბოლონია
რეჯინა - ბრეშა
რომა - ფიორენტინა
ვიჩენცა - ინტერი

IX ტური, 3 დეკემბერი

ბოლონია - ვიჩენცა
ინტერი - იუვენტუსი
ლაციო - რეჯინა
ლეჩე - ფიორენტინა
ნაპოლი - ბარი
პარმა - ატალანტა
პერუჯა - რომა
უდინეზე - მილანი
ვერონა - ბრეშა

X ტური, 10 დეკემბერი

ატალანტა - პერუჯა
ბარი - ბოლონია
ბრეშა - ნაპოლი
ფიორენტინა - ინტერი
იუვენტუსი - პარმა
მილანი - ლეჩე
რეჯინა - ვერონა
რომა - უდინეზე
ვიჩენცა - ლაციო

XI ტური, 17 დეკემბერი

ბოლონია - ატალანტა
ინტერი - ბრეშა
ლაციო - რომა
ლეჩე - იუვენტუსი
ნაპოლი - რეჯინა
პარმა - ვიჩენცა
პერუჯა - ბარი
უდინეზე - ფიორენტინა
ვერონა - მილანი

XII ტური, 23 დეკემბერი

ატალანტა - ინტერი
ბარი - ლაციო
ბრეშა - ლეჩე
ფიორენტინა - ვერონა
მილანი - პერუჯა
ნაპოლი - პარმა
რეჯინა - ვიჩენცა
რომა - იუვენტუსი
უდინეზე - ბოლონია

XIII ტური, 7 იანვარი

ატალანტა - რომა
ბოლონია - ბრეშა
იუვენტუსი - ფიორენტინა
ლაციო - ნაპოლი
ლეჩე - ვერონა
მილანი - ინტერი
პარმა - რეჯინა
პერუჯა - უდინეზე
ვიჩენცა - ბარი

XIV ტური, 14 იანვარი

ბრეშა - პერუჯა
ფიორენტინა - მილანი
ინტერი - პარმა
იუვენტუსი - ბოლონია
ლეჩე - ვიჩენცა
რეჯინა - ატალანტა
რომა - ბარი
უდინეზე - ლაციო
ვერონა - ნაპოლი

XV ტური, 21 იანვარი

ატალანტა - ფიორენტინა
ბარი - რეჯინა
ბოლონია - ვერონა
ლაციო - ინტერი
მილანი - რომა
ნაპოლი - უდინეზე
პარმა - ლეჩე
პერუჯა - იუვენტუსი
ვიჩენცა - ბრეშა

XVI ტური, 28 იანვარი

ბრეშა - მილანი
ფიორენტინა - ლაციო
ინტერი - ბარი
იუვენტუსი - ვიჩენცა
ლეჩე - ბოლონია
რეჯინა - პერუჯა
რომა - ნაპოლი
უდინეზე - ატალანტა
ვერონა - პარმა

XVII ტური, 4 თებერვალი

ატალანტა - იუვენტუსი
ბარი - ბრეშა
ბოლონია - ინტერი
ლაციო - ლეჩე
მილანი - რეჯინა
ნაპოლი - ფიორენტინა
პარმა - რომა
პერუჯა - ვერონა
ვიჩენცა - უდინეზე

XVIII ტური, 11 თებერვალი

ლაციო - ატალანტა
ვერონა - ბარი
ვიჩენცა - მილანი
იუვენტუსი - ნაპოლი
ფიორენტინა - პარმა
ლეჩე - პერუჯა
ინტერი - რეჯინა
ბოლონია - რომა
ბრეშა - უდინეზე

XIX ტური, 18 თებერვალი

მილანი - ბოლონია
პარმა - ბრეშა
რეჯინა - ფიორენტინა
ნაპოლი - ინტერი
ბარი - იუვენტუსი
პერუჯა - ლაციო
რომა - ლეჩე
უდინეზე - ვერონა
ატალანტა - ვიჩენცა

XX ტური, 25 თებერვალი

ატალანტა - ბარი
ფიორენტინა - ბრეშა
იუვენტუსი - მილანი
ბოლონია - ნაპოლი
პარმა - პერუჯა
ლეჩე - რეჯინა
ვიჩენცა - რომა
ინტერი - უდინეზე
ლაციო - ვერონა

XXI ტური, 4 მარტი

ვერონა - ატალანტა
რეჯინა - ბოლონია
ბარი - ფიორენტინა
რომა - ინტერი
უდინეზე - იუვენტუსი
ბრეშა - ლაციო
ნაპოლი - ლეჩე
მილანი - პარმა
პერუჯა - ვიჩენცა

XXII ტური, 11 მარტი

პარმა - ბარი
რომა - ბრეშა
პერუჯა - ფიორენტინა
ბოლონია - ლაციო
ატალანტა - მილანი
ვიჩენცა - ნაპოლი
იუვენტუსი - რეჯინა
ლეჩე - უდინეზე
ინტერი - ვერონა

XXIII ტური, 18 მარტი

ბრეშა - ატალანტა
მილანი - ბარი
ფიორენტინა - ბოლონია
ლეჩე - ინტერი
ლაციო - იუვენტუსი
უდინეზე - პარმა
ნაპოლი - პერუჯა
რეჯინა - რომა
ვერონა - ვიჩენცა

XXIV ტური, 1 აპრილი

პარმა - ბოლონია
იუვენტუსი - ბრეშა
ვიჩენცა - ფიორენტინა
პერუჯა - ინტერი
მილანი - ლაციო
ბარი - ლეჩე
ატალანტა - ნაპოლი
რეჯინა - უდინეზე
რომა - ვერონა

XXV ტური, 8 აპრილი

ლეჩე - ატალანტა
უდინეზე - ბარი
ვერონა - იუვენტუსი
ნაპოლი - მილანი
ლაციო - პარმა
ბოლონია - პერუჯა
ბრეშა - რეჯინა
ფიორენტინა - რომა
ინტერი - ვიჩენცა

XXVI ტური, 14 აპრილი

ვიჩენცა - ბოლონია
იუვენტუსი - ინტერი
რეჯინა - ლაციო
ფიორენტინა - ლეჩე
ბარი - ნაპოლი
ატალანტა - პარმა
რომა - პერუჯა
მილანი - უდინეზე
ბრეშა - ვერონა

XXVII ტური, 22 აპრილი

პერუჯა - ატალანტა
ბოლონია - ბარი
ნაპოლი - ბრეშა
ინტერი - ფიორენტინა
პარმა - იუვენტუსი
ლეჩე - მილანი
ვერონა - რეჯინა
უდინეზე - რომა
ლაციო - ვიჩენცა

XXVIII ტური, 29 აპრილი

ატალანტა - ბოლონია
ბრეშა - ინტერი
რომა - ლაციო
იუვენტუსი - ლეჩე
რეჯინა - ნაპოლი
ვიჩენცა - პარმა
ბარი - პერუჯა
ფიორენტინა - უდინეზე
მილანი - ვერონა

XXIX ტური, 6 მაისი

ინტერი - ატალანტა
ლაციო - ბარი
ლეჩე - ბრეშა
ვერონა - ფიორენტინა
პერუჯა - მილანი
პარმა - ნაპოლი
ვიჩენცა - რეჯინა
იუვენტუსი - რომა
ბოლონია - უდინეზე

XXX ტური, 13 მაისი

რომა - ატალანტა
ბრეშა - ბოლონია
ფიორენტინა - იუვენტუსი
ნაპოლი - ლაციო
ვერონა - ლეჩე
ინტერი - მილანი
რეჯინა - პარმა
უდინეზე - პერუჯა
ბარი - ვიჩენცა

XXXI ტური, 20 მაისი

პერუჯა - ბრეშა
მილანი - ფიორენტინა
პარმა - ინტერი
ბოლონია - იუვენტუსი
ვიჩენცა - ლეჩე
ატალანტა - რეჯინა
ბარი - რომა
ლაციო - უდინეზე
ნაპოლი - ვერონა

XXXII ტური, 27 მაისი

ფიორენტინა - ატალანტა
რეჯინა - ბარი
ვერონა - ბოლონია
ინტერი - ლაციო
რომა - მილანი
უდინეზე - ნაპოლი
ლეჩე - პარმა
იუვენტუსი - პერუჯა
ბრეშა - ვიჩენცა

XXXIII ტური, 10 ივნისი

მილანი - ბრეშა
ლაციო - ფიორენტინა
ბარი - ინტერი
ვიჩენცა - იუვენტუსი
ბოლონია - ლეჩე
პერუჯა - რეჯინა
ნაპოლი - რომა
ატალანტა - უდინეზე
პარმა - ვერონა

XXXIV ტური, 17 ივნისი


იუვენტუსი - ატალანტა
ბრეშა - ბარი
ინტერი - ბოლონია
ლეჩე - ლაციო
რეჯინა - მილანი
ფიორენტინა - ნაპოლი
რომა - პარმა
ვერონა - პერუჯა
უდინეზე - ვიჩენცა



ლეონდარული ადმინისტრატორის ლეონდა ათასი ზარი ჯერი კრახუმს, რომელმაც ტელეფონი ვერ დამუხტა

სწორედ იმ დღეს, რომელსაც „ჩიკაგო ბულზის“ გენერალური მენეჯერი ვერი კრახუმე ბოლო ორი წელი ელოდა, მას არაფერი ჰქონდა სათქმელი. პრესამ კარგა ხანს ვერ მოახერხა მასთან დაკავშირება, რაც მოგვიანებით კრახუმემ იმით ახსნა, მობილურ ტელეფონს კლემენტები დაუჯდა და დასატენად მჭონდა წაღებული. ასეა თუ ისე, „ჩიკაგოს“ გენერალურმა მენეჯერმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

მაინც რის შესახებ უნდა გაეკეთებინა მას კომენტარი? პირველ აგვისტოს „ჩიკაგო ბულზმა“ თავისუფალი აგენტი რონ მერსერი აიყვანა, რაც ახალი გუნდის მშენებლობაში წინგადადგმული ნაბიჯია. მშენებლობას კი, ისევე როგორც ამ თხუთმეტი წლის წინ, ლეონდარულ ადმინისტრატორად ცნობილი ვერი კრახუმე ხელმძღვანელობს. იგი ამ მშენებლობის „პროექტის“ ავტორი და „მთავარი ინჟინერია“. ამ ორი წლის წინ მან ერთი ხელის მოსმით დაშალა 90-იანი წლების უძლიერესი გუნდი და იქიდან მოყოლებული, კლუბის საკადრო და ფინანსური პოლიტიკა იქით მიჰყავს, რამდენიმე წელიწადში ხელახლა შექმნას მძლავრი გუნდი. კლუბმა ორი სეზონის სახელოსო ფონდთან ბლომად ფული შემოინახა, თავისუფალმა თანხამ თითქმის ოც მილიონს უწია, თუ არ ჩავთვლით წლებიდან წლებამდე სახელოსო ფონდს. ამ ფულით ჩიკაგოს სურდა, რომელიმე ან რამდენიმე მძლავრი თავისუფალი აგენტი აეყვანა, მაგრამ ყველაფერი ისე მაინც არ წარიმართა, როგორც კრახუმე გეგმავდა. „ჩიკაგოს“ საესე ვიბემ ვერ მოხბოლა წლებიდან წლებამდე ბაზრის საუკეთესო თავისუფალი აგენტები. სასურველი კალათბურთელები ან ძველ გუნდში დარჩენას ყუბულებოდნენ, ანაც „ორლანდოში“. თამაშს ამჯობინებდნენ. და აი, როგორც იქნა, გამოჩნდა კალათბურთელი, რომელმაც „ბულზის“ წინადადება მიიღო. ბედის ირონიით რონ მერსერი „ორლანდოს“ თავისუფალი აგენტი იყო და ჩიკაგოში ჩასვლა იმითომ გადაწყვიტა, რომ ძველმა გუნდმა აღარ ისურვა.



რონ მერსერი (შუაში) ვანკუვერელ მაიკ ბიბისა (№10) და მაიკლ დიკერსონის მარჯულებში

სტოს გააფორმა ოთხწლიანი და 27-მილიონიანი კონტრაქტი. „ფიქრობ, იგი კარგად წახემსარება ჩვენს გუნდს, რათა ჩიკაგო კვლავ ფეხზე დადგეს. რონი მნიშვნელოვნად მოგვადონიერებს. მისი აყვანა ჩვენთვის პირველი წინგადადგმული ნაბიჯია“ — ამბობს „ხარების“ დამრიგებელი ტიმ ფლოიდი.

რონ მერსერი ნა-ში 1997 წელს მივიდა და სამ სეზონში სამ გუნდში — „ბოსტონში“, „დენვერსა“ და „ორლანდოში“ თამაში მოასწრო, ახლა იგი მონარულია, რომ როგორც იქნა, იპოვა მშვიდი ნაცსყუდელი, სადაც მას ისე არ შეხვდა, როგორც გასაცვლელ მოთამაშეს. მერსერი კი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ სეზონში სულ ახალ-ახალ გუნდთან უხვდებოდა შეწყობა, მაინც წლიდან წლამდე უმატებს. ბოლო სეზონში იგი საშუალოდ მატჩში 16,9 ქულას აკეთებდა და გარდა იმისა, რომ „ორლანდოს“ უპირველესი ბომბარდირი გახლდათ, ეს მაჩვენებელი საუკეთესო მის კარიერაში. ნა-ში მისვლამდე მერსერმა კარგი სტატუსტური კარიერა გაიარა. მან კენტუკის უნივერსიტეტში მხოლოდ

ორი კურსი დახურა, თუმც მისი „ველური კატები“ ორჯერვე გაიყვანა სტუდენტური ჩემპიონატის ოთხთა ფინალში, პირველად კი, 1996 წელს, ჩემპიონიც გახდა. ასე რომ, მისი აყვანით „ჩიკაგომ“ ნიჭიერი და პერსპექტიული ცმაწვილი შეიძინა. „ორლანდოს“ იქნებ სანანებელი გაუხდეს, ასე იოლად რომ შეეღია. „მეცეიქს“ ზომ მერსერის ამპლუაში ხეირიანი (ჯერ) არაინ ჰყავს.

(ჩვენებურად ფრთა) პოზიციაზეც წარმატებით ითამაშოს. ჩვენმა ოკეანისგალმელმა კოლეგებმა გაბედეს და მას ჯორდანის შემცვლელი უწოდეს. ეს ცოტა ხმამაღლა ნათქვამია. მერსერი რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს, ჯორდანს მაინც ვერ შეედრება და არც ცდილობს, პირიქით. „მე საკმაოდ ახალგაზრდა ვარ იმ თავგადასავლებისთვის, რომლებიც ამ სამ წელიწადში ვადაძმდა. უბრალოდ, დავიღალე ამდენი მოგზაურობით. მიხარია, რომ დღეს აქ ვარ და მჯერა, ხვალაც აქ ვიქნები. „ჩიკაგო“ ჩემი შესაფერისი გუნდია. მართალია, მხოლოდ სამი სეზონი ვარ ნა-ში, მაგრამ ახალი თანაგუნდელები მაინც ჩამომრჩებიან ამ მხრივ. თუმც ეს არ მამღვეს უფლებას, ჩემი თავი ჯორდანად წარმოვადგინო. ეს სულ სხვა „ჩიკაგო“, მას ძველ „ჩიკაგოს“ ვერანაირად შევადარებთ. თუმც კლუბის ხელმძღვანელობა ყველა დონეს ხმარობს, ისეთი გუნდი შექმნას, როგორც 90-იან წლებში ჰყავდა, მაგრამ მე ეს შეუძლებლად მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მწაშს, მშენებარე „ჩიკაგო“ მალე ძლიერ „ჩიკაგოდ“ იქცევა. ამიტომ მოდი, თავი შევიკავოთ და ჯერჯერობით ჯორდანის შემცვლელს ნუ დამარქმევთ“ — ამბობს მერსერი.

თუ მერსერმა შეძლო და ახალ გუნდს შეეწყო, მაშინ იგი უპრობლემოდ იქცევა „ბულზის“ ერთ-ერთ ლიდერად. თუმც „ჩიკაგო“ ჯერჯერობით მაინც რჩება ახალგაზრდა პერსპექტიულ გუნდად, რომელიც საესე ტალანტებით მერსერის გარდა „ბულზს“ ჰყავს გასული სეზონის საუკეთესო ახალბედა თავდამსხმელი ელტონ ბრენდი და წლებიდან წლებამდე დრაფტში აყვანილ ტალანტთა მთელი ჯგუფი. თუ კრახუმემ მოახერხა და შემორჩენილი ფულით რამდენიმე გამოცდილი კალათბურთელი აიყვანა, მაშინ შეუძლია, შევებით ამოიხსნოს. ისე, ჯერ მხოლოდ ორი დღეა, რაც თავისუფალ აგენტთა ბაზარი გაიხსნა, მაგრამ რიგიან თავისუფალ კალათბურთელთა რიცხვი უკვე მნიშვნელოვნად შემცირდა. ამიტომ სანამ ყველას თავისი პატრონი არ გამოიხენია, კრახუმეს არქარება მართებს.

ირაკლი ფირაფხილი

პერლა Perla

პ ე რ ლ ა

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა

კოსტავას 47

ბასტროს კუნძულზე ზეიმი

კუბელემა კაპიტალისტებს სოტომაიორისგან ხელები უორს დააჭირნეს



ხავეირ სოტომაიორი

რომ სოტომაიორის საქმე კომუნისტური კუბის წინააღმდეგ მიმართული პროკადაციაა და, თუ იმ წყვეულ კაპიტალისტებში ნორმალური ვინმე ურევია, ამას იოლად უნდა მიხვდესო. კაპიტალისტთა სამძლეოსნო ფრთის გუშინ-წინდელი ნათათბრევი ცოტათი მართლაც კასტროს ბოლოქრობით უნდა

იყოს განპირობებული. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას, რომელიც სოტომაიორის დისკვალიფიკაციის ვადის განახლებას ითვალისწინებს, არავითარი გარკვეული დასაბუთება არ ახლავს. ნახსენებია „განსაკუთრებული გარემოებები“, რამაც ბატონი მოსამართლენი საბოლოო დასკვნამდე მიყვანა და ფაქტი სახეზეა — სოტომაიორი სიდნეის ოლიმპიადზე გამოვა, რასთან მისი იმულებითი უქმობის წლისთავი 31 ივლისს დასრულდა.

„სოტომაიორმა დაიმსახურა ჩვენი მხარდაჭერა“ — თქვა დასკვნით სიტყვაში იაფონის პრეზიდენტმა ლამინ დიაკამ, ხოლო კუბის სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტის პრეზიდენტმა უმბერტო როდრიგესმა მიღებულ გადაწყვეტილებას „ბრძნული, დიდებული და დროული“ უწოდა. ამასთან, როდრიგესი გამოძიების ამ ეტაპზე დატოვებას არ აპირებს. საქმეს საფლავში ჩაყვებით, აცხადებს იგი და მანამ არ მიისვენებს, სანამ სოტომაიორის სახელს ლაქებისგან ბოლომდე არ გასწმენდს.


ხოლო ჰავანაში რომ დღესასწაულობდნენ, ამაზე ზემოთ ვთქვით. სო-

ტომაიორის ცოლმა, მარია დელ კარმენ გარსიამ სააგენტო „როიტერს“ განუცხადა, სიმართლის ზეიმის გამო ხავეირი სიგეფემდე გახარებულია და ეს წუთია, საგარეოში გაგარდაო. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კუბის ერთ-ერთ სიმბოლოს (ასე ვიდეულ კასტრო უწოდებს ხოლმე) ვარჯიში არც ადრე შეუწყვეტია. რამდენიმე თვის წინ კამანგუეის პროვინციაში 2 მეტრსა და 36 სანტიმეტრს გადახტა, ხოლო წინა უქმეზე ჰავანაში ხუთი სანტიმეტრით ნაკლები დასძლია. „ოქროს ლიგის“ ლა „გრან პრის“ შეჯიბრებზე უკეთესი შედეგები არც ვინმეს უზენებია (მაგალითისთვის გუშინდელი „სარბიელი“ იხილეთ), მსოფლიოს რეკორდი (2,45 მ.) ხომ სოტომაიორს ეკუთვნის და ამიტომაც სიდნეის ოლიმპიადზე სწორედ მას უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას. სოკ-ის პრეზიდენტის აზრით ამგვარი ვახლავთ. „დიდებული სახელა, ბედნიერი ვარ — ამბობს ხუნანტონიო სამარანჩი — სიდნეის ოლიმპიადამ სოტომაიორის დაბრუნებით ოქროს მედლის ნაღდი კანდიდატი მოიგო“. 10 აგვისტოს სოტომაიორი ევროპას გაქანდება. ბებერ კონტინენტზე მინიმუმ ორ წარმომადგენლობით ტურნირში გამოვა, მერე კი ავსტრალიისკენ...

დანარჩენ ბრალდებულთა საქმეები კვლავ გადაიდო, ბრიტანული კვარტეტისა მინც. გაერთიანებული სამეფოს მძლეოსნებს განაჩენს, სავარაუდოდ 15 აგვისტოს გამოუტანენ.

დამით გულუა

კასეზში სიუზვიდაა, ქალეზში ტრინეა აური



ტრინე ჰატესტადი

ივნის-ივლისში ნორვეგიელი შუბისმტყორცნელის ტრინე ჰატესტადის სახელმა სამძლეოსნო სამყაროში მძლავრად დაიქუხა. ბრეგ და ჯანიანმა სკანდინავიელმა დიაცმა, ჯერ იყო და 29 ივნისს, რომში „ოქროს ლიგის“ მეორე ეტაპზე შუბი 68,22 მეტრზე ტყორცნა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ზუსტად ერთი თვის თავზე, 29 ივლისს, მშობლიურ ოსლოში, იმავე „ოქროს ლიგის“ მესამე ეტაპზე თავისივე რეკორდი გააუმჯობესა, ამჯერად ტრინეს ნატყორცნი შუბი 69,48 მეტრის მოშორებით ჩაურჭო. ასეთი შედეგების მერე ცხადია, ჰატესტადს ყველა კარსმოძღვარი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალს უწინასწარმეტყველებს. ტრინესაც საკუთარი თავი ფავორიტად მაჩნია, აქაოდა, ჩინებულ ფორმაში ვარ და წესით ოლიმპიურმა ოქრომ ჩემი მკერდი უნდა დაამშვენოსო, თუმცა სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ერთ ნორვეგიულ გაზეთს გაანდო: „ივნის-ივლისში მართლაც კარგად ვიასპარეზე, სიდნეიშიც არ ვაპირებ თავის შერცხვენას, მაგრამ ისიც ვიცი, მეტოქეები უბრძოლველად არაფერს დათმობენ. გამორჩეულად კუბელი ოსლეიდის მენენდესსა და გერმანელ ტანია დამასკენ ვუფრთხი“.

ტრინე ჰატესტადის რეკორდებმა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ახლახან გამოქვეყნებული რეიტინგის ქალთა ათეულსაც უცვალა სახე: აქ ისევ ამერიკელი სპრინტერი მარიონ ჯონსი ლიდერობს. მეორე-მესამე ადგილებზე გაბრეულა საბომ და ინგერ მილერმა შეინარჩუნეს. ამერიკელმა გეილ დივერსმა კი მეხუთედან ერთი საფეხურით ზემოთ აიწია და ადგილი რუს სვეტლანა მასტერკოვას გაუცვალა.

ნორვეგიელი შუბისმტყორცნელი კი ოცდამეცამეტედან მეთე ადგილზე მოკალათდა და თუ ასე გააგრძელა, ვინმე მარიონ ჯონსის პირველობასაც დაემუქროს. კაცთა რეიტინგში ახალი არაფერია, თუმც უპრიაია, ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ჩაიკითხოთ და ამაში თავად დარწმუნდებით.



ტომას დვორჟაკი

დვორჟაკმა ათჯერ გაჭრა

ამ დღეებში საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, ქალაქ ტალანსში მრავალჭოდლები შეიკრიბნენ და გვარაიანი შეჯიბრიც გააჩაღეს. გამორჩეული ყურადღება კაც ათჯიდლებსკენ იყო მიპყრობილი, რადგან ჩეხი მსოფლიოს ჩემპიონისა და რეკორდსმენის, ტომას დვორჟაკის თამალობით თითქმის ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი. ტურნირმა მხოლოდ ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელ დენ ობრაიენი მოისაკლისა, რომელიც ტრავმის გამო ვერ ეწვია საფრანგეთს, ვე კი არა, ობრაიენი ზემოთ ნათქვამი მიზეზის გადაკიდე სიდნეის ოლიმპიურ თამაშებსაც გამოტოვებს.

ტომას დვორჟაკი სიდნეიში გამარჯვების ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად ითვლება და, სპეციალისტები რომ ტყუილად არ მიიჩნევენ ფავორიტად ტალანსშიც დაამტკიცა. დვორჟაკმა, მართალია, შეჯიბრის პირველ დღეს უხელოდ იასპარეზა, მაგრამ მერე, თავი არ დაზოგა და ხუთიდან სამ სახეობაში პირადი რეკორდებიც დაამყარა — 110 მეტრი თარჯრებით 13,93 წამში დაფარა, ბადრო 49,22-ზე, შუბი კი 69,37 მეტრზე ტყორცნა. დვორჟაკს საბოლოოდ 8733 ქულა დაუგროვდა, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი გამოდგა. მეორე ადგილი (8706) მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ესტონელმა ერკი ნოლომა ირგუნა. მესამეზე უფერული ოლიმპიური ჩემპიონის, ბადროსმტყორცნელი დილუა ფივოკის ვაჟი, ატილა გავიდა.

ახლა ქალ შეიჯიდლებზე ვთქვათ. ტალანსელები მოუთმენლად ელოდნენ თვისტომ ანუკ ბარბერს, სვედილის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულს, მაგრამ ამაოდ. ბარბერმა იქ ჩასვლა ვერ მოახერხა, თუ რატომ, ამაზე საფრანგეთიდან არაფერს იტყობინებია.

ბარბერის არყოფნაში ბრიტანელმა დენის ლუისმა გამოიღო ხელი, 6831 ქულით მეტოქეებს გვარიანად აჯობა და გამარჯვებულის დაფინს გვირგვინიც დაიდგა. მეორე-მესამე ადგილებზე კი პოლონელი ურსულა ვლოდარჩიკი და ფრანგი ნატალი ტეპე გავიდნენ.


მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგები				
კაცები				
1	(1) ჰიშამ ელ გურუჯი	მაროკო	1479,38	1500, 2000, 3000 მ, მილი
2	(2) მორის გრინი	აშშ	1478,06	100, 200 მ
3	(3) მაიკლ ჯონსონი	აშშ	1458,40	200, 300, 400 მ
4	(4) ნოა ნგენი	კენია	1448,40	1500 მ
5	(5) უილსონ კიპკეტერი	დანია	1437,45	800 მ
6	(6) მაქსიმ ტარასოვი	რუსეთი	1435,85	ჭოკით ხტომა
7	(7) ბერნარდ ბარბასაი	კენია	1425,83	300 მ წინააღმდეგობით
8	(8) ივან პედროსო	კუბა	1420,94	სიგრძეზე ხტომა
9	(9) ბენიამინ ლიმო	კენია	1418	3000, 5000 მ
10	(10) კოლინ ჯექსონი	ბრიტანეთი	1413,44	110 მ თარჯრბენი
ქალები				
1	(1) მარიონ ჯონსი	აშშ	1427,23	100, 200 მ სიგრძეზე ხტომა
2	(2) გაბრიელა საბო	რუმინეთი	1425,68	3000, 5000 მ
3	(3) ინგერ მილერი	აშშ	1418,84	100, 200 მ
4	(4) გეილ დივერსი	აშშ	1415,80	100, 100 მ თარჯრბენი
5	(5) სვეტლან მასტერკოვა	რუსეთი	1412,68	1500, 800 მ
6	(6) მარია მულტოლა	მოზამბიკი	1402,12	800 მ
7	(7) დეონ ჰემინგსი	იამაიკა	1401,32	400 მ თარჯრბენი
8	(8) ნეფა ბიდუანე	მაროკო	1394,88	400 მ თარჯრბენი
9	(9) სარა გუაზიზი	მაროკო	1392,56	3000, 5000 მ
10	(10) ტრინე ჰეტესტადი	ნორვეგია	1389,24	შუბის ტყორცნა

საფრანგეთი
 II ტური
 სეზონი II ლიონი

ახსანაგური მატჩი
 აიანსი 0:0 ლავიო
 არსენალი 1:2 ბარსელონა

ფრისტაილის სიბიჭები

REUTERS განაკადან



ახალ ზელანდიაში, კანაკაში მსოფლიოს საუკეთესო მოფრისტაილენი შეკრებილან და უწყისო თხილამურობის ნაირგვარ სახეობებში უჯიბრებიან ერთმანეთს. აქ იმართება თავისუფალი ქროლვის, ექსტრემალური თხილამურობის და ჩინური დაშვების დღეები. ექსტრემალური თხილამურობაში ამ ფოტოზე აღბეჭდილია ამერიკელი მეტ გუდვილი, რომელიც თავისუფალ ქროლვაში ძალიან მაგარი ყოფილა.

ჩიბა იბედოვნებს


REUTERS ტოკიოდან



თავისუფალი სტილით მოცურავე იაპონელი გოგონა სუნი ჩიბა (მარჯვნივ) კარსმოძღვარი ოლიმპიადისათვის ვერც კი ემზადება ხეირიანად, რადგან ლამის მთელ თავის დროს ვეჭილ ანდრა პოლაუთან კონსულტაციებს უთმობს. იაპონიის საუკეთესო მოცურავე ჩიბა, მისთვის სრულიად მოულოდნელად ამორიცხეს ოლიმპიური გუნდიდან. ლონჯონის ოლიმპიურ ოფისთან კონსულტაციის შემდეგ მან სასამართლოში უნივლა მოცურავეთა ნაკრების უფროსობას. ჩიბა იმედოვნებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ისევ ჩაირიცხება ოლიმპიურ გუნდში. სავეიწველია პირდაპირ, ქალმა ორი ერთგნული რეკორდი დაამყარა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, პოტენციურ ოლიმპიური მედლის კანდიდატადაც ითვლება და...

ფიდელი ასილავს

კომანდანტი ფიდელი მორგ ოლიმპიადზე ისტუმრებს კუბელ სპორტსმენებს. მოხუცი, მაგრამ ბეჭებგამართული დიქტატორი ქვეყნის სიმბოლოსა და სიწმინდეს — ეროვნულ დროშას გადასცემს ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მძიმეწონისან მოკრივეს ფელიქს საგონს. იქვე კი, სახელდახელო მიტინგ-ტკუისდარიგება მიმდინარეობს, კომანდანტეს საგარეო საქმეთა მინისტრი ფელიპე პერეს როკე სპორტსმენებს შეახსენებს, რომ უნდა იფიქრონ ქვეყნის პრესტიჟსა და მორალურ სისუფთავეზე. ამხანაგი როკე ძალიან კი ცდილობს, რომ ფიდელს დაემგვანოს ხელების ქნევით, მაგრამ კუბელ სპორტსმენთა ჩანთები მაინც სავსე იქნება სიგარეტით, რომელთა იაფად გასაღებაც სახელოვან ჩემპიონებს უცხოური საქონლის ყიდვისა და თავიანთ ქვეყანაში სარფიანად გაბარივების საშუალებას მისცემს. ჩვენთანაც ასე არ იყო?



ტარს ნობის ბილეთი

ხარობს ამერიკელ ძალთხანა ტარა ნოტი. ესაა, 102,5 კილოგრამ ვამართა თავს ზემით ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში ამ ახალ ერთგნული რეკორდ დაიბევა ადგილი. ორლუანში მიმდინარე შესარჩევი შეჯიბრის მისთვის იდობის გამოდგა. ისე, დი უცნაური გოგო ყოფი ეს ტარა ნოტი; თის წლის წინათ თურ ტანვარჯიშში ცდილობ ოლიმპიური ბილეთ მობოვებ

სარბიელი
 სპორტული გაზეთი
 გამოიცემა 1990 წლის
 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
 ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
 პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოიხვერიანი
 დირექტორი ბიორგი ოქროშვილი
 რედაქტორი თამაზ მიხრიაული
 მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
 აპონანდილ გურასაშვილი

ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
 უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულნაშვილი
 ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორიძე
 ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
 კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი
 ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე
 მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, ზურაბ მეშველია, ვანო ოქროპირიძე ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში თეზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღუვაშვილი, პატიკი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე ნათელა ვიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუტაშვილი, სვეტა ლევანო, მადია დოღვაშვილი, კახა თალაყაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, ალექსანდრე
 ყაზაბაგის ბაგირი 42, II
 კორპუსი, IV სართული.
 საფოსტო მისამართი:
 თბილისი - 79, საფოსტო
 ყუთი 208. ტელეფონი: 39 48
 ელექტრონული ფოსტა
 sarbieli@iberiapac.ge
 ელექტრონული ვერსია
 http://www.sarbieli.com.ge